№ 141

კვირა, 13 ივლისი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 141

კვირა, 13 ივლისი 7981 წ.

ზაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 22

**კნეინა ანასტასია ალექსანდრეს ასული ბარათაშვილისა და ვლადიმირ ალექსანდრეს ძე ბარათაშვილი**, აუწყებენ-რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა

**თავადის ალექსანდრეს ასულის თეკრონია ბარათაშვილისას,**

სთხოვენ მობრძანდნენ 14 ივლისს, ორშაბათს, დამოქნის ბერძენთა წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში, სადაც მიცვალებული განსვენებული იქმნება საკუთარის სახლიდგან, სეიდ აბათში; მიცვალებული პეტრე-პავლეს სასაფლაოზედ იქმნება დასაფლავებული. (1—140—1)

## კბილის ექიმის კაბინეტი

## ვ. ი. ჭიჭინაძისა

16 ივლისიდგან ახალს სახლში იქმნება გადატანილი: მიხეილის ქუჩა, № 81, სლივიცკის სახლი (იქ სადაც კნინას მუსიკალური სკოლა იმყოფებოდა).

**ხობის მონასტრის „იარმუკა“**

(10—17 აგვისტომდე ზუგდიდის მაზრაში)

ამით ვაცხადებთ: 1) კარვები წარსულს წლებზედ უფრო კარგი იქმნება. 2) კარვების ქირაც ნაკლებია სავაჭრო ადგილის მიხედვით: ხუთ მანეთიდგან ათის მანეთის მეტი არ იქმნება, და 3) სადარაჯო ფულიც ნაკლებია, შვიდს დღისთვის გამოერთმევათ მხოლოდ მანეთი თითო კარავისა და ყოველის მხრივ უშიშარნი იქმნებიან მოვაჭრენი.

ხობის მონასტრის წინამძღვარი არხიმანდრიტი სიმეონი

(3—6.—1)

## პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი და შინაგანი.

**უ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო** 11—12 საათ. სნეულება დედაკაცთა სქესისა და ბავშვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულ მკერდისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. პუგინოვი.** 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისდა ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

## მთავრობის განკარგულებანი

—

დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან თავისისავე თხოვნით, ტფილისის გუბერნატორი მათის უდიდებულესობის კარის კამერგერი, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი თავადი შერვაშიძე.

დათხოვნილ იქმნა საზაფხულოდ ერთის თვის ვადით ქ. ტფილისის მეოთხე ნაწილის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე სულხანიშვილი.

## ახალი ამბავი

—

*** გზათა მინისტრი თავ. მ. ი. ხილკოვი ხვალ, 14 ივლისს, დილით რკინის გზის სადგურზედ მიიღებს ყოველს იმის უწყების შესახებს არზასა და თხოვნას. ეს ამბავი ყველა უწყების უფროსებმა გამოუცხადეს თავის ხელქვეით მოხელეებს.

*** დღეს, 13 ივლისს, ნაძალადევის უბანში ქართულ სცენის მოყვარენი ქ. ნ. მ. ტარიელოვის მონაწილეობით გაჰმართავენ ქართულ წარმოდგენას. წარმოდგენილ იქმნება ბ-ნ სუნდუკიანცის კამედია „პეპო“ და ბ-ნ ცაგარლის ვოდევილი „ჭკვისა მჭირს“. წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 7 საათზეა დანიშნული. მეტად სასიამოვნო ამბად უნდა ჩაითვალოს, რომ ბილეთების ფასი ძლიერ იაფია: 1 რიგი ღირება 60 კ., 2 და 3—50 კ., 4, 5, 6 და 7 რიგი—40 კ., 8, 9 და 10—30 კ., 11, 12 და 13—20 კ. დანარჩენი 10 კ.

კვირას, 20 ივლისს, ნაძალადევის უბანშივე დანიშნულია კონცერტი ქართულის ხოროსი ბ-ნ კავსაძის ლოტბარობით.

*** გზათა მინისტრი თავადი ხილკოვი გუშინ, 12 ივლისს, ღამის 11 საათსა და 30 წამზედ საგანგებო მატარებლით ბორჯომს წავიდა. ბორჯომიდგან იგი ორშაბათს დაბრუნდება უკან.

*** ინჟენერები, რომლებიც კახეთის მომავალ რკინის გზას იკვლევენ, ამ ჟამად სადგურ სალაოღლში არიან.

*** შინაგან საქმეთა სამინისტრო ატყობინებს კავკასიის მთავარ-მართებელს, რომ შუამდგომლობა არქიმანდრიტის ლეონიდისა, ბლაღოჩინის კირილე ღვთისავარიშვილისა, ნ. ს. პაიჭაძისა და სხვათა „ქიზიყის სახალხო დეპოს“ წესდების პროექტის დამტკიცების შესახებ არ იქმნება შეწყნარებულიო.

*** გაზ. „მიროვიე ოტგოლოსკი“-ს სიტყვით, უმაღლესის მთავრობისათვის ახალი პროექტი წარუდგენიათ კავკასიის მთის ხერხემალზედ რკინის გზის გაყვანისა.

*** მთავრობამ განმარტა, რომ სამაზრო სამხედრო უფროსების საქმის მწარმოებელთ, თუნდაც ოფიცრის ხარისხიცა ჰქონდეს, უფლება არა აქვთ სახელმწიფო მოსამსახურე იყოლიონო.

*** შავის ზღვის პირის ახალს გუბერნიაში გზების გასაყვანად 400,000 მან. გადაუდვია მთავრობას. ამავე გუბერნიაში სოჭასა და ტუაფსეს შუა მდ. შახეზედ დიდის ხიდის აგება უკვე დაასრულეს. ეს ხიდი მთავრობას 270,000 მ. დაუჯდა.

*** ამიერ კავკასიის რკინის გზის გამგეობის მოსამსახურეთ აზრად აქვთ იშუამდგომლონ გზათა მინისტრის ტ. ს. თავ. ხილკოვის წინაშე, რომ რკინის გზის დედათა სასწავლებელი ოთხ-კლასიან პროგიმნაზიად იქმნას გადაკეთებული.

*** კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწემ გენერალ-ლეიტენანტმა ფრეზემ ნება მისცა თელავის წმ. ნინოს სასწავლებლის გამგეობას, რომ მან ამა მიმდინარე წელს გამართოს ხსენებულ სასწავლებლის სასარგებლოდ ლატარია-ალეგრი.

*** გორის მაზრის, სოფ. ოსიაურის სახელმწიფო გლეხებს უთხოვნიათ კავკასიის უმაღლეს მთავრობისათვის მამასახლისისა და სოფლის

# ფელეტონი

—

**აი საქმე, თუ გვინდა!**

(შემდეგი *)

II

ხუთის წლის წინად დაიბეჭდა ოცდა-რვა ფელეტონად „ივერია“-ში ჩემი ეკონომიური წერილები, სახელდობრ: „ჩვენი უთავბოლობა“, რომელიც შეეხებოდა ჩვენის ხალხის აწინდელ სავალალო ნივთიერ ყოფა-მდგომარეობას, ყველა წოდება სამსახურის კაცთა ხალხთან განწყობილება დამოკიდებულებას და ევროპის სახალხო დეპო ბანკების მგზავსს დეპო-ბანკებს ჩვენის ხალხის წამალსაშველად, მის ქონება-გონების სიღატაკისაგან დასახსნელად. ხსენებული ჩემი წერილები ბევრმა უტოპიად მიიღო მაშინ, ბევრმაც იმას ყველგან სახალხო სკოლების დაარსება ამჯობინა, მაგრამ გაიარა დრომ და დღეს თითქმის ყველანი დავრწმუნდით, რომ თუ ხალხს ჯერ საერთოდ ნივთიერ მდგომარეობას არ განვუკარგებთ, ვერც სკოლებს დაიარსებს ხალხი, ვერც შვილებს მოაცლის იგი სასწავლებლად, და რა მისწრაფებითაც-კი დღეს ნივთიერად დაწინაურებული ხალხი დევის ნაბიჯით მიისწრაფის ათას გვარ წარმატების გზისაკენ, ჩვენი ნივთიერად დაქვეითებული ხალხი კუს ნაბიჯითაც ვერ ილოღიალებს იმ გზაზედ, იმ ხალხის უკან.

აი, სწორედ ამისთვის მოხდა, რომ დღეს, როგორც ევროპაში, ჩვენი ჟურნალ-გაზეთებიც, ინტელიგენციაც და ყველა ცოტამატად შეგნებულნიც უმთავრეს ყურადღებას აქცევენ საქართველოს ყველა ქალაქ და ბა-სოფლებში კოოპერატიულ საალებ-მიცემო საზოგადოებათა დაარსებას, რადგანაც მათში ჰხედავენ ყველანი ცხადად ჩვენის ნივთიერად დაქვეითებულ ერის ხსნა-შველას და მის ადრე და მალე ქონება-გონებით დაწინაურება-გამდიდრებას. დიაღაც, რომ დროა ეხლა, ამ მეცხრამეტე საუკუნის დამლევს მაინც, გამოვიფხიზლოთ ყველამ ერთობლივ, ავახილოთ ნამძინარევი თვალები, მოვიკრიფოთ ჩვენი გულ-გონების ყოველივე ძლიერება, ცოდნა, მოსაზრება, გამჭრიახობა, კრიტიკული შორსგამჭვრეტელობა, ენამზეობა და იქამომდე ვილაპარაკოთ, ვწეროთ, ვიზრუნოთ და ვიმეცადინოთ, ვიდრე მთელ საქართველოს კუთხეებს ცხოველ-მყოფელ მზის სხივებივით არ მოეფინება კოოპერატიული, საბალღ-მიცემო ამხანაგობანი ჩვენის ერის ქონება-გონების ასაყვავებლად.

ამ ოთხიოდე წლის განმავლობაში შემდეგი საალებ-მიცემო კოოპერატიული დაწესებულებანი დაარსდა საქართველოში: ტფილისში კახეთის მემამულეთა ღვინის სარდაფი; ხონში, ოზურგეთში, ქუთაისში და ძველ სენაკში მეაბრეშუმეთა ამხანაგობანი; ქიზიყის, შილდის და თიონეთის დეპოები; იმერეთში შავი ქვის წარმოების ამხანაგობანი; ტფილისში „შუამავალი“; გორის მაზრაში სამეურნეო-სავაჭრო ამხანაგობა—და აი სულ ესენი არიან ჯერ-ჯერობით მთელ საქართველოში ქართველთა ერის სავაჭრო-საზოგადო დაწესებულებანი, რაიც, რაღა თქმა უნდა, რამდენიმე წვეთია ზღვაში, მაგრამ თითქმის ყოველ-დღე ჩვენი გაზეთები სასიამოვნო მახარობელივით გვახარებენ: ამა-და-ამ ადგილას განიძრახეს საზოგადო დეპო-შუამავლის დაარსებაო და, მაშასადამე, შეიძლება რამდენიმე წლის განმავლობაში საალებ-მიცემო ამხანაგობანი სოკოს სისწრაფით გამრავლდნენ ყველგან და მზის სხივებივით მოეფინნენ მთელს საქართველოს.

ქიზიყის სახალხო დეპოს მოქმედებამ ცხადად დაგვანახვა ქიზიყელებს, რომ ჯერ მარტო-უამხანაგოდ იმანაც კი, ახლად ფეხ-ადგმულმა, ჯერედ არც-კი დაჭაბუკებულმა და დავაჟკაცებამდის არ მისულმა, თავისის პატარა თანხითაც თავს-ზარი დასცა მთელის მაზრის წურბელა ვაჭარ-ჩარჩებს, დაამხვრია მათის სავაჭროების მამასისხლურ ფასად გაკვეთილი მაზანდები, მოუჭრა მუშტარი, გააკოტრა გარემო სოფლებში რამდენიმე ბაზაზმეწვრილმანე და მიაკეტინა დუქნის კარებიც. ეს გამონაცადი საქმე აშკარად გვასწავლის შემდეგს: საჭიროა სიღნაღის ასი ათას სულიან მაზრაში გაიხსნას ჯერ ჯერობით თუნდ თითო საბოქაულოში თითო ყოველგვარ სავაჭრო საქონლის დეპო და ერთიც თვით სიღნაღში, ე. ი. რიცხვით სულ ხუთი, რომ ისევე გაიდევნენ ხალხის მძარცვავი ვაჭარ-ჩარჩები, როგორც იესო ქრისტემ განდევნა იგინი იერუსალიმის წმიდა ტაძრიდგან.

სახალხო დეპოების დაარსების შემდეგ ყველგან, სადაც-კი დაარსდებიან, ასეთივე მარცხი დაემართებათ საქართველოში წურბელა-ვაჭარ ჩარჩებს, მაგრამ აქ ესეც უნდა ვთქვა, რომ, როგორც მესამე წლის ქიზიყის დეპოს არსებობის საქმე გამოცდილებაც დამარწმუნა, ბევრი რამ ნებსითი და უნებლიეთი ნაკლულევანებანი გვაქვს ქართველებს და ვიდრე იმ ნაკლულევანებათ არ ავიცილებთ თავიდგან, ძნელია საზოგადო საალებ-მიცემო დეპო-შუამავლების სასურველ წერტილამდე აღორძინება. რადგანაც ძალიან გაგვიგრძელდებოდა სიტყვა, ამ სათვის აქ არ შევუდგები იმ ნაკ-

*) იხ. „ივერია“, № 136.

მოსამართლეების ამორჩევის უფლება მოგვანიჭეთო.

⁂ ქალაქის საბჭოს შუამდგომლობის თანხმად კავკასიის მთავარმართებელმა დაადგინა, რომ ჩითახოვის მამულში ახლად გაჭრილს ქუჩას კრილოვის ქუჩა დაერქვას, ხოლო ძველს არსენალის ქუჩას—სასამართლოსი.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ლიახვის წყლის ოლქის მირაბად სამსახურს გარეშე მყოფი პოდპოლკოვნიკი ი. ს. მრუელიევი. იმის კანდიდატად მ. რ. ერისთავი; საბჭოს წევრებად: გ. ი. დავრიშევი (კანდიდ. მ. ი. გურგენოვი); ა. დ. ქარუმიძე (კანდიდ. მ. გ. მაჰავარიანი).

⁂ სადგ. მარელს. 11 ივლისს, ღამის 1-ლ საათსა და 50 წამზედ, მე-126 ვერსზედ, რკინის გზის მუშა პლატონ პწკალაძეს ლიანდაგთან დასძინებოდა და მომავალს საქონლის მატარებელს № 66 მკლავსა და თავში საშინლად დაეშავებინა. დაშავებული მუშა ხაშურის რკინის გზის სამკურნალოში გაჰგზავნეს. იმედია, მორჩეს.

## საზაფხულო პედაგოგიური კურსები.

უფრო და უფრო ბეჯითი ხასითი ეძლევა კურსებს. რაც ხანი გადის, ბეჯითობა, როგორც მანდილოსანთა, ისე ქუდოსან მასწავლებელთა ჰმატულობს. ეს კარგი ნიშანია. ღმერთმა ჰქმნას, ბოლომდის ასე წავიდეს. უწ. სინოდს ტფილისის საპედაგოგიო კურსებისათვის გადაუდვია 2,500 მან. ადგილობრივს მთავრობას ყოველი ღონისძიება უხმარია, რომ ამ ფულით რაც შეიძლება კარგად მოეწყო საქმე. როგორც საეპარქიო ზედამხედველის ბ-ნ ნ. გ. ტატიშვილისაგან გავიგონე, ამ კურსებზედ განხილული იქმნება მრავალი საპედაგოგიო საკითხი, რომელთაც მასწავლებელთა ყრილობებზედ აღძრავს თვით ბ ნი ტატიშვილი. რასაკვირველია, საკითხების გამო აღძრული აზრთა აღებ-მიცემობა უფრო გააცოცხლებს და გაახოველებს კურსებს, მით უმეტეს, რომ თვით საეპარქიო ზედამხედველი ბ ნი ტატიშვილი სრულს თავისუფლებას მისცემს, თამამად და გულ ახდით წარმოსთქვას ყველამ თავისი აზრი ამა თუ იმ საკითხის შესახებ. ამასთან კამისიები იქმნება შემდგარი, რომლებიც მასწავლებელთა გამოთქმულს აზრს განიხილავენ და თანაც თავისს აზრს გამოსთქვამენ საეპარქიო საბჭოში წარსადგენად.

თქმა არ უნდა, აღძრულ იქმნება საგნები პირველ დაწყებით სახელმძღვანელოების შინაარსისა და სწავლების წეს-რიგის შესახებ. პირველდაწყებით სახელმძღვანელოების გამო ბევრჯელ გამიგონია აზრი, რომელიც ნაყოფი ყოფილა საქმის ჯეროვნად უცოდინრობისა, ან რომელისამე პირადის ანგარიშისა და რაკი ამისთანა აზრები აქა იქ დაცოცავენ, თუმცა სამატლე ხრილივით ჯერ ნიადაგის ძებნაში არიან, მით უფრო სიფხიზლეს და სიფრთხილეს უნდა ვუმატოთ, რომ აწონ-დაწონაში კარგზედ უარი არ ითქვას და ცუდი მოწონებული არ შეიქმნეს. ადვილი საქმე არ არის რომელსამე პირველ დაწყებით სახელმძღვანელოზედ ითქვას, ეს და ეს გამოიტოვოს და ეს და ეს დარჩესო. ვიდრე ამის თქმას გაჰბედავდეს კაცი, ამისი მზგავსი სახელმძღვანელოები უნდა გაიცნას სხვა და-სხვა ენაზედ, აგრეთვე უნდა გადიკითხოს კრიტიკული წერილები საუკეთესო პედაგოგთა და ამ ნაირად აბჯარ ასხმულს შეუძლიან საბუთიანი და სამართლიანის მსჯავრის დადება. თუ ასე ვერ მოემზადა ადამიანი, ისევ სჯობია გაიმეოროს ის, რაც საუკეთესო პედაგოგებს უთქვამთ იმაზე ადრე. ესევე ითქვის სწავლების წეს-რიგის შესახებაც.

ამავე კურსებზედ, სხვათა შორის, გალობის გაკვეთილებიც იქმნება. ქართულის გალობისათვის, მგონია, ოცი გაკვეთილია გადადებული. გალობის საქმე სოფლებში სამწუხარო მდგომარეობაშია. საწყალი სოფლელები იძულებულნი არიან ისმინონ კნავილი ერთის რომელისამე დიაკვანისა. სასურველია და სანატრელიც, რომ მასწავლებლებმა, ბევრი თუ არა, მცირე ცოდნა მაინც შეიძინონ გალობისა, რომ შეეძლოთ მოსწავლეთ გადასცენ თუნდ ცოდნა მარტო უფალო „შეგვიწყალესი“, „შენუფალო“-სი, „ამინ“-ისა, „მოგვმადლე უფალო“-სი და „წმიდაო ღმერთო“-სი. რასაკვირველია, უკეთესია უფრო მეტის ცოდნა, მაგრამ შეუძლებელს ხომ ვერავის მოვსთხოვთ. ეკკლესიაში რომ იგალობონ ბავშვებმა ესა და სხვა საგალობლები „ხან-დაზმურის“ კითხვით წარმოსთქვან, ესეც დიდი გაუმჯობესება იქმნება სოფლის ეკკლესიის გალობის მდგომარეობისა. თუ არა, „მანამ სუყველა საგალობლების გალობას არ დავისწავლით, ეკკლესიაში არ ვიგალობებთო“, ეს ვერაფერი საბუთია. ჩემის აზრით, რაკი მოსწავლეთ „უფალო შეგვიწყალე“, „შენუფალო“ და „ამინ“ იციან, უნდა იგალობონ ეკკლესიაში, მერე რასაც მოუმატებენ, ის ემჯობინება. თუ ამ გზას არ დაადგებიან, სამრევლო-საეკკლესიო სკოლები გალობას ვერ შეიტანენ სოფლის ეკკლესიაში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ სკოლების სასწავლო დრო ისე მოკლეა, რომ სრულად გალობის შესწავლა და სკოლიდგან გასვლა ერთი იქმნება; ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სრულად გალობის მცოდნენი ცოტანი გვყვანან და ამ ცოტათაც სხვა სასწავლებლებში აქვთ ბინა მოკიდებული. მაშ ჯერ „მცირედსა ზედა სარწმუნო უნდა ვიყვნეთ, რომ მრავალსა ზედა დაგვადგინოს ღმერთმა“.

ნადიკვრელი

## სასოფლო მეურნეობის სწავლება საერო და სასულიერო უწყების სკოლებში

გუშინ გვქონდა მოხსენებული, რომ კომისიამ, რომელსაც სოფლის მეურნეობის საგნების შესახებ საზოგადო მოსაზრებათა შემუშავება ჰქონდა მინდობილი საერო და სასულიერო უწყების სკოლებში შესატანად, უკვე გაათავა მუშაობა. აი, რა დასკვნა გამოიტანა კომისიამ:

1) სასულიერო უწყებისა და საერო განათლების დაბალს სკოლებში სოფლის მეურნეობის სწავლებას აზრად ის უნდა ჰქონდეს, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის სასარგებლო სასოფლო სამეურნეო ცოდნა გავრცელდეს; ამ აზრით მოსწავლეებს უნდა აცნობონ, თუ სამაგალითო მოვლა-მოყვანა ამა თუ იმ მცენარეულისა როგორ უნდა სწარმოებდეს და ამავე დროს პრაქტიკულად ამუშაონ, რომლისაც-კი თავისუფალი დრო ექნებათ. მაგრამ არასოდეს აზრად არ უნდა ჰქონდეთ მოსწავლენი სასოფლო-სამეურნეო საქმის ტეხნიკოსებად გარდაქმნან, რადგანაც ამ აზრს ემსახურება სამეურნეო სამინისტროს პროფესსიონალური სკოლები.

2) სასოფლო მეურნეობის სწავლება მხოლოდ იმ სასწავლებლებში უნდა იქმნას შეტანილი, რომელთაც საკუთარი მიწა აქვთ პრაქტიკულად სამუშაოდ და სხვა გარემოებაც ხელს უწყობს: ა) საერო განათლების სამინისტროს სამასწავლებლო სემინარიებსა და სასულიერო უწყების სამრევლო-სამასწავლებლო სკოლებში, ბ) ამავე უწყების კერძო სკოლებში, გ) საერო განათლების სამინისტროსა და სასულიერო უწყების ორ-კლასიან სასოფლო სკოლებში, სამოქალაქო სასწავლებლებში 1872 წ. 31 მაისის დებულებისა თანახმად, და საერო განათლების სამინისტროს სამაზრო სასწავლებლებში, დ) ერთ-კლასიან სახალხო სასწავლებლებსა, სამრევლო საეკკლესიო და სხვა პირველდაწყებითს სკოლებში.

3) სამასწავლებლო სემინარიებსა და საეკკლესიო-სამასწავლებლო სკოლებში სოფლის მეურნეობისა და აგრეთვე მისის სხვა-და-სხვა დარგის სწავლება, რომლებიც ადგილობრივ გარემოებათა მიხედვით საჭიროდა და სასარგებლოდ ცნობილნი იქნებიან, უნდა სწარმოებდეს როგორც თეორიულად, გაკვეთილებით, ისე პრაქტიკულადაც, ე. ი. თვალ-საჩინოდ უნდა ჰმეცადინეობდნენ საგანგებოდ ამ აზრით მოწვეულ სოფლის მეურნეობისა და ბუნების მეტყველების მასწავლებელთა ხელმძღვანელობით. 4) ამავე წესითა და რიგით უნდა სწარმოებდეს სოფლის მეურნეობის სწავლება სასულიერო უწყების მე-2 კლასის სკოლებში, რომელს ამათგანსაც-კი ადგილები აქვს და ადგილობრივი გარემოებაც ხელს უწყობს.

5) სასულიერო უწყების დანარჩენს მეორე-კლასიანს სკოლებსა, საერო განათლების სამინისტროს ორ-კლასიან სასწავლებლებსა და აგრეთვე ამავე სამინისტროს სამოქალაქო და სამაზრო სასწავლებლებში სასოფლო-სამეურნეო საგნების შესახებ მეცადინეობა და ბაასი თვალსაჩინოდ უნდა სწარმოებდეს გარკვეულის სისტემით სამაგალითოდ შემუშავებულს მინდორსა, ვენახსა, ბოსტანსა, ან ახალშენში და სხ. მოსწავლეებს ამ დროს გამოცდილი და საქმის კარგად მცოდნე მასწავლებელი უნდა ჰხელმძღვანელობდეს, რომელსაც დამატებითი ჯამაგირი უნდა მიეცეს ამ შრომისათვის.

6) ორისავე უწყების ერთ-კლასიანს სკოლებში სამეურნეო საგნების სწავლება თვალსაჩინოდა და პრაქტიკულად უნდა სწარმოებდეს: გაამენონ მასწავლებლის დახმარებით ბაღი, ბოსტანი, ახალშენი და სხ. რასაკვირველია ისეთს დროს, რომელიც უფრო ხელს უწყობს ამგვარს მუშაობას. ამავე დროს მასწავლებელმა უნდა უთუოდ განუმარტოს ყოველივე, რაც სამუშაოს შეეხება და სოფლის მეურნეობის სხვა-და-სხვა დარგის შესახებ ადვილად გასაგები წერილები წაუკითხოს.

7) სოფლის მეურნეობის სწავლება საერო განათლების სამინისტროს სამასწავლებლო სემინარიებსა და სასულიერო უწყების სამასწავლებლო სკოლებში იმ გეგმითა და პროგრამით უნდა სწარმოებდეს, როგორსაც ჯეროვანი უწყება დაუმტკიცებს, რასაკვირველია, სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს თანხმობით.

8) ორისავე უწყების ორ კლასიან და პირველ-დაწყებითის სკოლებისათვის სასოფლო მეურნეობის სწავლების საზოგადო ნორმალური ინსტრუქციები ამავე წესითა და რიგით უნდა მტკიცდებოდეს.

9) ორისავე უწყების ორ-კლასიან სკოლებისათვის სოფლის მეურნეობის მასწავლებელთა მოსამზადებლად სასარგებლოა: ა) დაარსდეს პედაგოგიური კურსები, ანუ კურსები საშუალო და დაბალ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულთათვის და ბ) სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გამგეობით გამართონ ხოლმე საგანგებო სასოფლო-სამეურნეო კურსები ნახევარისა, ან ერთის წლის ვადით იმ სახალხო მასწავლებელთათვის,

---

ლულევანებათა ჩამოთვლას და მათ ყოველმხრივად კრიტიკულის თვალით განხილვას. როგორც იმათ და საზოგადო დეპოების აღორძინების საშუალებით, ისეც ტფილისში პროვინციის დეპოებისათვის დიდად საჭირო მთავარ-დეპოს მიუცილებლად დაარსებას ცალკე წერილებს ვუძღვნი, და ეხლა-კი ისევ ამ წერილის უმთავრესს საგანს მივუბრუნდები.

ასე, სულ ოთხიოდე წელიწადია, რაც საქართველოს ერის ძალიან მცირე ნაწილმა დააგდო ძველი გზა ცდომილებისა, გაიარა ახალი კვალი საზოგადო აღებ-მიცემობისა მოუხნავ, შამბ-ნარიან მინდორს და, ღვთით იმედია, მოიგონებენ ქართველნი მამა პაპისეულ მეღვარს მხნეობა-გამჭრიხობას, დასძლევენ ყოველსავე დაბრკოლებას და ნარცეცხლა-ღვარძლიანი, დაკვალული მინდორი მთლად გადიხვნება, გადაშავდება და მ ს ფართო გულ-მკერდზედ თვალ-გადუწვდენელ ზღვასავით დაიწყებს საამო ბიბინს მწვანე ხასხასა ჯეჯილი ქვეყნის საერთო კეთილდღეობისათვის. მაგრამ ჩვენ თვალ-წინ გვიძევს კიდევ ისეთივე მეორე დიდი, შამბნარ ლიხიანი, გაუკვალავი მინდორი, რომელსაც უნდა აეჩვას ნაწიბური, გაევლოს იმასაც კვალი და მოიხნას იგიც თანდათანობით ქვეყნის საკეთილდღეოდ. მე მოგახსენებთ ხალხის უმთავრესს ავლა-დიდებაზედ: ხორბალზედ, ქერზედ, ფეტვზედ, სიმინდზედ, ღვინოზედ, მატყლზედ და პარკზედ,—ესენი არიან ჩვენის ერის უმრავლესობის მაცხოვრებელნიც, შემნახველნიც, დამმარხველნიც ათასგვარ ვალ გარდასახადის მომშორებელიც, ჭირისა და ლხინის გამსტუმრებელიც და ქისაში ფულის გამჩენნიც.

განა იმას დაწვრილებითი საბუთებით დამაგალითება და ეჭირვება და ყველამ, დიდმაც და პატარამაც, აშკარად არ ვიცით, თუ ხალხის მაცხოვრებელი ეს ერთად-ერთი მისი სიმდიდრე ავლა-დიდება რა საძალღ-ღორედ არის გამხდარი დღეს საქართველოს ყველა კუთხეში ზღვის ოდენა ჩარჩ-ვაჭარ-მოვახშე „ფოდრიაჩიკებისაგან“ და როგორ ბზის ფასად აცლიან ჩვენის ერის უმრავლესობას ამ მილიონების ნაწარმოებს. დიაღ, ყველამ კარგად ვიცით ეს, მაგრამ მე მაინც კვლავ ახლად გასათვალისწინებლად მოკლედ, გაკვრით დავამაგალითებ ხსენებულ ნაწარმოებთა საეალალო ყოფას კახეთ-ქიზიყის ცხოვრებიდამ, და მერე დავასახელებ იმ მოსაზრებას, რომელმაც, ჩემის ფიქრით, ყველა სხვა საშუალებაზედ უფრო ადრე და მალე, უფრო სანაქებოდ და ერთობლივ უნდა იხსნას იგინი მტაცებელ ორფეხა მგელთა ხელიდგან.

წარმოვიდგინოთ, რომ მორჩენილა ხალხი კალოობას და აი, თავისის სისხლის ოფლით მონაგარ სულადით, ესე იგი, ხორბლით, ქერით, ფეტვით, სიმინდით აუვსია ბეღლები, ორმოები, ამბრები, საწნახლები, ქვევრები, საცალოები, ტომრები, და სიამოვნებით ვფიქრობთ მის მნახველნი: ეხლა-კი ძალიც ვეღარ დაჰყეფს ამ ხალხის ბედსო, მაგრამ ტყუილად, ძალიან შევმცდარვართ; აგერ მოადგა გლეხკაცის სულადს მთელი ჯარი სულთა მხუთავ ჩარჩ-ვაჭარ-მოვახშე-„ფოდრიაჩიკებისა“, სწორე საწყაო ლიტრის ბადლად აჩაფეს ორ-ლიტრიანის ჩანახებით, დაუდეს ურმებს და დასვეს საბრალო გლეხ-კაცი ცალიერტალიერი, ხელ-მესედ ურიის მარჩობელა ვალსა და ვახჩში ჩასავარდნელი.

ეხლა გავიგოთ რაში აძლევს გლეხკაცი იმ ორფეხა მგელთა ჯარ-ლაშქარს თავისს წლის მონაგარ სარჩოსაბადებელს. ათასნაირი გარდასახადისათვის და ათასნაირივე საოჯახო და სამეურნეო საჭიროებისათვის სოფლის კაცი ერთ-ჯურა პირ შეკრული მსყიდავ-„ფოდრიაჩიკებს“ ასყიდებს სულადს ნაღდ ფულზედ, ორლიტრიანის ჩანახით, ბზის ფასად; მეორე ჯურის მოვალეეს, რომელთაგანაც ორსა და სამ აბაზ სარგებლით აუღია თვეში თუმანი, რაიც შეადგენს ორთა შუა რიცხვით წლიურს 60% ტს, აძლევს იმათაც ვალში; აძლევს ვალშივე მესამე ჯურის ვაჭარ მოვახშეებს, რომელთაგანაც უსესხნია ფული და აუღია ნისიად სხვა-და-სხვა სავაჭრო—ყველა ესენი უსარგებლოდ, მაგრამ ამის ნაცვლად ხელ წერილის ძალით ხორბალი კოდი მანეთად და ქერი კოდი ათ შაურად უნდა მისცეს მათ, რაიც შეადგენს უკანასკნელ 100%-ტს ანუ წელიწადში თუმანზედ თუმან სარგებელს, თუ წლის წინად უვალნია, მაგრამ უფრო ხშირად მოსავლის ჩაკალოებების სამი-ოთხი თვის წინად ღებენ და, მაშასადამე, ასი პროცენტის ნაცვლად გამოდის სამასი პროცენტი. დავუმატოთ ყოველსავე ამას: სწორე საწყაო-ლიტრის ბადლად ორ-ლიტრიანი ჩანახებიც, უსულღმერთო „ნეუსტოიკა“-ჯარიმების „ნედოიმკებიც“ და მაშინ ცხადად დავინახავთ, რომ ასე და ამგვარად გლეხ-კაცი ხუთას პროცენტს ანუ წელიწადში მანათში ხუთ მანათს და თუმანში ხუთ თუმანს სარგებელს აძლევს უსულღმერთო მოვაჭრე-მოვახშეებს.

მართალია, ასეთი მოვახშეობა და სავაჭროების სულადში გამოცვლა სასტიკად აღრძალულია კანონით, მაგრამ ამეებს ვინ უგდებს ყურს, როგორც გიჭირდეს, იგრე გიდირდესო, ამბობს გამღებიც და ამღე-

რომელთაც ჯეროვანი უწყება დანიშნავს.

10) ერთ-კლასიან და სხვა სახალხო სკოლების მასწავლებლებმა რომ დასახლოვებით გაიცნონ, თუ როგორ უნდა აწარმოვონ სოფლის მეურნეობის რომელიმე დარგი სასკოლო მამულში, ამისათვის უთუოდ საჭიროა მოკლე-ვადიანი სასოფლო სამეურნეო კურსები იქმნას ხოლმე გამართული სამეურნეო სამინისტროს ხელმძღვანელობითა და დახმარებითა.

11) საპედაგოგო და სასოფლო სამეურნეო კურსების გამართვის გარდა სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ზემოდ აღნიშნულს სასწავლებლებში სოფლის მეურნეობის სწავლების საქმეშიაც უნდა მიიღოს მონაწილეობა: ა) მუდამ თვალ-ყური ადევნოს სამასწავლებლო სემინარიებში სოფლის მეურნეობის სწავლებას თავისს ხელქვეითების შემწეობით, აგრეთვე სამასწავლებლო და მეორე კლასიანს სკოლაში, ამავე დროს ჯეროვანს უწყებას აცნობონ ხოლმე ხელქვეითებმა, თუ ადგილობრივმა გაცნობამ სწავლის საქმისამ რა ნაყოფი მოიტანა; ამისათვის სამეურნეო სამინისტრო საგუბერნიო და სამაზრო სამასწავლებლო საბჭოების, ეპარქიალურს სამასწავლებლო საბჭოებსა და მათს სამაზრო განყოფილებათ ადგილობრივს ხელქვეით მოხელეებს უნიშნავს; ბ) შემლებისა და საჭიროების მიხედვით, ადგილობრივ უგზავნის სოფლის მეურნეობის ინსტრუქტორებს, რომ მასწავლებლებს საჭირო ტეხნიკური რჩევა-დარიგება მისცენ ხოლმე; გ) შემლებისა და გვარად უგზავნის ყველა სოფლის მასწავლებლებს თესლეულობასა, მცენარეებს, სკებს, ზოგიერთა საჭირო იარაღს, ხელსაწყობსა, სპეციალურს თხუზულებებსა და სხ.; დ) ჯეროვანის უწყების თანხმობით, აჯილდოვებს ფულითა ან საპატიო რამ ჯილდოთი სოფლის იმ მასწავლებლებს, რომელთაც სოფლის მეურნეობის სახალხო სკოლებში სამაგალითო სწავლებით ადგილობრივ მცხოვრებთათვის სარგებლობა მოუტანიათ.

ამ ჟამად სოფლის მეურნეობას სასწავლო უწყების მხოლოდ ექვსს სასწავლებელსა, საერო განათლების სამინისტროს ცხრა სასწავლებელსა, ოთხს სამოქალაქო სასწავლებელსა და იმპერატრიცა მარიამის ხუთს სასწავლებელში ასწავლიან.

# რუსეთი

საერო განათლების სამინისტროში მორიგ საქმეთა შორის მალე განხილულ იქმნება ისიც, რომ კავკავში რიგის პოლიტეხნიკურის ინსტიტუტის მაგვარი უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი იქმნას დაარსებული. ხსენებულის სასწავლებლისათვის საჭირო თანხის გამოღებაზედ თერგის თემის რამდენმამე ქალაქმა თანხმობა განაცხადა.

— სასჯულო საქმეთა სამინისტროს მიერ დაწყებული მუშაობა იმის შესახებ, რომ კავკასიაში ადგილ-მამულის გამიჯვნის საქმე დაჩქარებულ იქმნეს, მალე დასრულდება.

— ერობათა და ქალაქებისათვის დიდ ვადიან იაფ-კრედიტის საშოვნელად ამ ჟამად ახალი სააქციონერო საზოგადოება უნდა შესდგეს თურმე იმავე წესითა და რიგით, როგორც საადგილ-მამულო სააქციონერო ბანკებსა აქვს მითვისებული. ხსენებულის საზოგადოების წესდება უკვე შედგენილია და მალე ფინანსთა სამინისტროს წარედგინება განსახილველად.

— საერო განათლების სამინისტრო მალე ერთს ფრიად საყურადღებო საგანს განიხილავს და აი, სახელდობრ რას: განზრახულია, ყოველ წლიური მოგზაურობა გაიმართოს მოსწავლეთათვის რუსეთის იმპერიაში. მოგზაურობაში საშუალო სასწავლებლების უფროს კლასების მოსწავლენი მიიღებენ მონაწილეობას და აზრად ექმნებათ რუსეთის ბუნება, საქარხნო მოღვაწეობა და რუსეთის ისტორიულნი ნაშთნი გაიცნონ.

— ქალაქების ზოგიერთ საბჭომ ამ წინაზედ ლაპარაკი აღძრა იმის შესახებ, რომ ქალაქის სასარგებლოდ რკინის გზის შენობებს გარდასახადი დაედოსო. ეს საგანი ეხლა უმართებულესს სენატსაც სამართლიანად უცვნია და დაუდგენია, რომ გარდასახადი დაედოს ყველა იმ შენობას, რომელიც ხაზინის ხელში გადასულა და რომელიც ან რკინის გზის მოხელეთა საცხოვრებლად არის დანიშნული, ან შემოსავალს იძლევაო.

# უცხოეთი

**ოსმალეთი და რუმინია.** ფრანკფურტის გაზეთი იუწყება, რომ რუმინიამ და ოსმალეთმა ერთმანეთში კავშირი დასდეს იმისა, რომ, თუ ვინიცობაა ომი გამოუცხადა რომელიმე სახელმწიფომ ერთ-ერთს მათგანს, ორივენი ერთად ებრძოლონ. ამავე გაზეთის სიტყვით ამ ორ მოკავშირე სახელმწიფოს მფარველობას გერმანია გაუწევსო.

**კრიტი** ოსმალეთმა შემდეგი გეგმა წარუდგინა ელჩებს კრიტზედ დროებით მმართველობის შემოღების შესახებ: „კუნძულს თვით-მმართველობა მიენიჭება. გუბერნატორი, რომელიც ევროპის ექვსმა დიდმა სახელმწიფომ უნდა ამოარჩიოს, სულთანისაგან ექმნება დამტკიცებული. კრიტი ხარჯს მისცემს ოსმალეთს და ამ უკანასკნელს ნება არ ექმნება კუნძულის შინაურ საქმეებში გაერიოს ან ჯარი იყოლიოს იქ. ყველა საქმეს გაარჩევ-განაგებს გენერალ გუბერნატორი და საერო კრება. ბერძნული ენა ოფიციალურ ენად იქმნება აღიარებული. სამართალი ევროპიულად მოეწყობა. მილიცია შესდგება როგორც მკვიდრი მცხოვრებლებისაგან, აგრეთვე სხვა ერთა ხალხისაგან.“

**მაკედონია.** ბოლგარიის გაზეთები ამ უკანასკნელ დროს იმის განჩხრეკა-განხილვაში არიან, თუ ვინ უშველის მაკედონიას და რომელი სახელმწიფო გაანთავისუფლებს მას ოსმალოთაგან. ზოგი მათგანი რუსეთს ასახელებს, ზოგი ავსტრიას და ზოგიც აზრით-კი მაკედონიას არც ერთი სახელმწიფო არ დაეხმარება და თვით უნდა იხსნას თავი გაჭირვებიდგან. გაზ. „Гл. Макед.“. უარსა ჰყოფს ამ სამივე მოსაზრებას და მაკედონიის მხსნელებად ინგლისს და საფრანგეთს ასახელებენ. „იყო დრო, ამბობს გაზეთი, როდესაც ინგლისმა სან-სტეფანის ხელშეკრულების დარღვევით, თავზარი დასცა მაკედონიას და მისი ყოფა-მდგომარეობა მიწასთან გაასწორა. ასევე მოიქცა საფრანგეთი, მაგრამ მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა და ამ ორ სახელმწიფოთა აზრი მაკედონიის შესახებ ძირითადად შეიცვლება. ეხლა ისინი ბოლკანეთის ქრისტიანეთ მეგობრულად უცქერიათ, ხოლო ოსმალეთს მტრულად. გარდა ამისა იმათი გეოგრაფიული მდებარეობა ისეთია, რომ მომავალში ჩვენთვის საშიში არ არიან. ამიტომ თუ ზემო მაკედონიის კომიტეტს აზრადა აქვს მიჰმართოს ვისმეს შემწეობისთვის, ჩვენის აზრით, პირველად ინგლისს და საფრანგეთს უნდა გაუწოდოს ხელი.

**საბერძნეთი და ოსმალეთი.** ვოლოდგან (თესალიაშია) სწერენ გაზეთ „Neve freie Presse“, რომ ოსმალეებმა უმტყუნეს თავის სიტყვას და ხელ-ახლად ქრისტიანების აკლება-აწიოკებას მიჰყვეს ხელიო. დარაზმული ლაშქრის ჯარის-კაცები და ბაში-ბუზუკები ძარცვა-გლეჯასა და ქურდობის მეტს არაფერს აკეთებენო. მოქალაქეთ იმ შემთხვევაში შეუძლიანთ მხოლოდ ქალაქიდგან გავსვლა, თუ თავდები ეყოლებათ იმისა, რომ ათი დღის შემდეგ უკანვე დაბრუნდებიან. ერთი თანამდებობის კაცი დაპატიმრებულ იქმნა გემზედ, რომლითაც სხვაგან წასვლას აპირებდა. ყველა დაშინებულია, ყველა დღე-დღეზედ მოელის დაპატიმრებას. ხალხმა შიშისაგან აღარ იცის რა ჰქნასო.

# დამაკვირდი

მცირე ჭკუის ადამიანი აწარმოებს, დიდებულის ჭკუისა—ჰქმნის.

შუმანი

***

ის, რაც შენ გსურს, ყოველთვის საჭიროდ გეჩვენება.

მარიამ ებნერ-ეშენბახისა

***

ნებითა ღვთისათა სტირის ანუ იცინის ადამიანი.

სოფოკლი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

საზოგადოდ მეცნიერები და კერძოდ ფოტოგრაფები სცდილობენ რაც შეიძლება განაკარგონ ფოტოგრაფიის საქმე და ისეთი სურათი გადიღონ, რომ ყველაფერი გადაღებული საგნისა სინამდვილით იყოს აღბეჭდილი.

გარდა ამისა ამ ბოლოს დროს გამოიგონეს ეგრედ წოდებული „ცოცხალი ფოტოგრაფია“ ანუ „ცოცხალი სურათები“. ამ სურათების გაკეთებას ხელი მოუმართა შემდეგმა კანონმა - ბუნებისამ. ადამიანის თვალი რომ საგანს დაინახავს, მას შემდეგ კიდევ რჩება თვალში სურათი $^1/_8$ წამის განმავლობაში. წარმოიდგინეთ ეხლა, რომ ფოტოგრაფმა გადიღო მრავალი სურათი იმ ქვისა, რომელიც მაღლიდგან ძირსა ვარდება და შემდეგ ეს სურათები უჩვენა ადამიანს და მის თვალ-წინ სისწრაფით გამოსცვალა. პირველ სურათს რომ ნახავს ადამიანი და ააცლიან, $^1/_8$ წამს კიდევა ჰრჩება თვალში, ამ დროს მეორე სურათს უჩვენებენ, მერე მესამეს და სხვ. მაშინ ცალკ-ცალკე სურათების მაგიერ ადამიანი ჰხედავს, თითქოს მის თვალ-წინ ქვა ვარდებაო.

ამ გვარად შეიძლება გადაიღონ და უჩვენონ კაცს სურათი მიმავალის მატარებლისა, გაჭენებულ ცხენისა და სხვ. ევროპაში ბევრია იმ გვარი მანქანა, რომლის შემწეობითაც ადამიანს უჩვენებენ ასეთს ცოცხალ სურათებს, მაგრამ ეს მანქანები ძლიერ ძვირად ჰღირს. ერთი ამ გვარი მანქანა ტფილისშიაც ჩამოიტანეს და სათავად-აზნაურო ბანკში მსურველთ უჩვენებდნენ სურათებსა. სხვათა შორის მაყურებელი ჰხედავდა ყველა პრაცესიას, რომელიც-კი მოხდა მოსკოვში მეფე-დედოფლის გვირგვინის კურთხევის დროს.

ეხლა ერთს ამერიკელს გამოუგონია ახალი მანქანა, სახელად მუტოსკოპი. ეს მანქანა წარმოადგენს, პატარა ყუთს. შიგ ერთს ღერძზედ მრავალი სურათია, გადაღებული საგანის მოძრაობის დროსა. ეს სურათები აგებულია ერთს ღერძზედ. ღერძი ტრიალებს, ჯერ ერთი სურათი გაიშლება, მოედება ყუთის თავში გაბმულ მავთულს, დაენახვება მაყურებელს, მერე თავის თავად ჩამოვარდება და იმის მაგიერად ეხლა მეორე სურათი გაიშლება, მერე მესამე და სხვ. ყუთის წინ გამადიდებელი შუშაა და მაყურებელი გადიდებულს სურათსა ჰხედავს. ეჭვი არ არის, რომ ეს მანქანა მალე გადმოვა ევროპაშიაც და ადგილს დაიჭერს სინემატოგრაფისას, რომელიც ძლიერ ძვირია და ამიტომ იმისი შეძენა ბევრს არ შეუძლიან.

***

სწორედ გასაოცარია, რა ძლიერ არის გავრცელებული ტელეფონი მთელს შვეციაში. სტოკჰოლმში, მაგალითად, 1883 წელს სულ 751 სახლში იყო ტელეფონი და ქალაქის მიდამოებში—34. 1896 წელს ამავე

---

ბიც. და თუ გლეხ-კაცს გულმტკივნეულობით უთხარით: რატო ელუპინები, კაცო, მაგრე მა ორფეხა ნადირებსო, იქნება შეგაგინოთ კიდეც გულმოსულმა და ამას ხომ აუცილებლად გეტყვით: მა რა ვქნა, რო არ დაველუპინო, გაჭირება მიჩვენეო, მე გაქცევას გიჩვენებო; როცა გაჭირებისაგან საბლიწვერზე ვკიდივარ და ვირჩობი, აბა თუ მაგრე გული შეგტკივა ჩემთვინ, შენ დამიხსენი ი საბლიწვერზე ჩამოკიდებული, მაგრამ, ეჰ, შვილოსა, ყველა ნაჰწავლები ცარიელი სიტყვა ხართ ჩვენთვინ და სხვა-კი არაფერიო.

რომ სიტყვა უფრო მოკლედ მოვჭრათ და აღარ გავაგრძელდეს, სწორედ სულადისავე და უფრო უარესი დღე ადგა ჩვენს ღვინოსაც, მატყლსაც, თამბაქოსაც და პარკ-აბრეშუმსაც.

ეხლა თავის თავად იბადება შემდეგი კითხვა: რა ვქნათ, რა მოვახერხოთ, რა ღონე ვიღონოთ და რა გზა-კვალს დავადგეთ, რომ ეს ერის უმრავლესობის ერთად-ერთი, აუარებელი სიმდიდრე-ავლადიდება საძალღ-ღორედ აღარა ხდებოდეს, ათასნაირის მანქანებით ჩალის ფასად აღარ ეცლებოდეს ხელიდამ ხალხს, ყველა თავის ღირებულ ფასად იყიდებოდეს სწორე წონა საწყაოთი და ის მოგება-მილიონები, რომელნიც-კი უანგარიშო ჩარჩ-ვაჭარ მოვახშეებს „ფოდრიადჩიკ“ - მეფაბრიკე- მექარხნეებს ჰრჩებათ წლის წლობამდის, თვითმის მომნაგრებელ ხალხსავე უბრუნდებოდეს, რომ მაშინ ადვილად და სიხარულით იხდიდეს ხალხი ყოველგვარ სახელმწიფო თუ კერძო - სამოხელო ბეგარა - ხარჯსაც, იუმჯობესებდეს ყოველ მხრივ თავისს საოჯახო და სამეურნეო ყოფა-მდგომარეობასაც. უარსებდეს შვილებს საჭირო სკოლა-სასაწავლებლებსაც, იარსებდეს თავისთვის საზოგადო სასესხ-მიცემო დეპო-კასებსაც, წიგნთსაცავებსაც, იწერავდეს ჟურნალ-გაზეთ-წიგნებსაც—და ყველა ამათ, რაღა თქმა უნდა, თან მოჰყვებოდა ხალხის ქონებრივი, გონებრივი და ზნეობრივი ამაღლება, გამდიდრება, ძმობა ერთობა, ღვთის და ადამიანის სიყვარული, მშვიდობა, კეთილი და სათნოება.

აბა რომელი გზა ამოვირჩიოთ ამის მისაღწევად: თუ ამას ვიტყვით, რომ ყოფილმა და მომავალმა საღებ-მიცემო საზოგადო დეპო შუამავლებმა აღმოუჩინონ მათ ბაზარიო, ეს ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ხალხს წინადღითვე ფული უჭირს და ისინი კი თავიანთ პატარა თანხით და ხელ-მიუწვდომლობით მთელის ჩვენის ერის ერთ პროცენტ ანუ მეასედ ნაწარმოებსაც ვერ გაუწევენ შუამავლობას; თუ ამას ვიტყვით, რომ თვით ხალხმავე უშველოს თავისს თავს საწევრო ფულების გამოღებით და სამეურნეო ამხანაგობათა დაარსებითაო, ესეც ყოვლად მოუხერხებელია აწინდელი ხალხის უკიდურესად გაჭირვების გამო საჭირო თანხა შეადგინონ; თუ ამას ვიტყვით რომ მოვიცადოთ იქამდის, ვიდრე დეპო-შუამავლები ან თვით ხალხი შეიძლებენ ამას, ან ვიდრე ჩვენში ერობას შემოიღებენო, ეს კიდევ ხომ იმას ეგვანება, შიმშილით მომაკვდავს რომ ეუბნებოდნენ: აცა, ცხენო, ნუ მოჰკვდები, გაზაფხულზე იონჯა მოვაო; თუ ამას ვიტყვით, რომ აგერ კავკასიის სამეურნეო საიმპერატორო საზოგადოება გვპირდება ტფილისში მთელის გუბერნიისათვის საერთო მატყლის საწყობის დაარსებასაო და ჯერ-ჯერობით ის მატყლის საწყობიც ვიკმაროთო, ამაზედაც მოგახსენებთ, რომ ამ საქმის შესახებ მე თითონ გახლდით შარშან საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების კრებაზედ და თანა მყვანდნენ ქიზიყიდამ მეცხვარეთა წარმომადგენლები, იქვე იყვნენ სხვა მაზრებიდგანაც მეცხვარეთა წარმომადგენელნი, მაგრამ ჩვენ, ქიზიყელები, ბევრი სჯა ფიქრის შემდეგ დავრწმუნდით, რომ თუ ყველა მაზრას თავისავე მაზრაში არა აქვს მატყლის საწყობიც, ბევრისათვის ხელმიუწვდენელი იქმნება ტფილისის მატყლის საწყობი და ამასთანავე ბევრი რამ ისეთი ნაკლი უთანასწორობა და უხერხულობა ექნება, რომელთა ჩამოთვლა მე აქ საჭიროდ არ მიმაჩნია. მხოლოდ, ამას კი ვიტყვი, რომ სამეურნეო საიმპერატორო საზოგადოებას და მის ბიუროს შეუძლიანთ სანაქებოდ და ჩინებულად აღასრულონ როლი შუამავალისა უცხო ქვეყნის ვაჭარ-მომხმარებელთა და ჩვენის ქვეყნის მეურნე მწარმოებელთა შორის, როდესაც კი საქართველოს მაზრებს თავიანთ კუთხის ყველა უმთავრეს ნაწარმოებთა ამბარ-საწყობები ექნებათ ადგილობრივ.

ჯერ-ჯერობით საჭიროდ არა ვთვლი განვსაზღვრო: თითო მაზრას ერთ ადგილას თუ თითო საბოქაულოში დასჭირდება ამისთანა ამბარ-საწყობები. ამ სამაზრო ამბარ-საწყობების რიცხვთა განსაზღვრა, ნაწარმოებთა რაოდენობის სტატისტიკური ცნობები და მის სამოქმედო წესდების შედგენა მაშინ უნდა მოხდეს, როდესაც ხსენებული საქმის განსახორციელებელ თანხა-კაპიტალს დავიგულებთ, და ეხლა კი მარტო საქმის უმთვრესი შინაარსი უნდა დავისუროთ-ხატოთ თვალ-წინ და შემდეგ ისიც, თუ სად, როგორ და რა გზით ვიშოვნოთ მის განსახორციელებლად საჭირო თანხა-თავნი.

დ. მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

ქალაქში იყო 11,708 აპარატი ქალაქში და 2,767 ქალაქს გარედ. ამ ჟამად-კი სტოკჰოლმში 13.000 აპარატია ტელეფონისა. ამ ქალაქში სულ 300,000 მცხოვრებია და მაშასადამე ერთი აპარატი ტელეფონისა 24 მცხოვრებლებზედ მოდის. ფასი ტელეფონისა ძლიერ მცირეა. კერძო სახლისათვის ღირს წელიწადში 18 მანათად და ბანკებისა, კანტორებისა და საზოგადო დაწესებულებათათვის—28 მანათად. ეს სიიაფე ფასისა სრულებით საზარალო არ არის ტელეფონების გამმართველ საზოგადოებისათვის, პირ-იქით, რაც მეტი მსურველია ტელეფონის გამართვისა თვისს სახლში, იმდენად მეტს იგებს საზოგადოება. სტოკჰოლმის გამოფენაზედ ცალკე პავილიონში გამართულია კაბინეტი ჟურნალისტებისთვის და აქვე არის მაათთვის ტელეფონიც. საცა უნდა შევიდეს კაცი სტოკჰოლმში, ყველგანა ჰნახავს ტელეფონს. სახლებს გარდა ქუჩებშიაც მრავალი ტელეფონია გამართული. შვეციაში არც ერთი მიყრუებული სოფელი არ არის, რომ ტელეფონი არა ჰქონდეს. მთელს სახელმწიფოში მარტო მთავრობასა აქვს 37,000 აპარატი ტელეფონისა.

## მცირე შენიშვნა

ისევ ბოდავის წმ. გიორგის ნიშის შესახებ.

ამ რამდენისამე დღის წინად შემთხვევით მომიხდა სოფ. ზემო-თიანეთში (თიანეთის მაზრა) ყოფნა. აქ, სხვათა შორის, შევიტყე, რომ სოფლის მკვიდრთა შორის ბოდავის წმ. გიორგის მლოცავთა რიცხვი (ძველებურად ყმებისა) არა მცირედია თურმე.

აი, რა მიამბეს პეტრე და შიო ცალუღლაშვილებმა ბოდავის წმ. გიორგის ეკკლესიის ძველის-ძველი მლოცველები ვართ მამა პაპიდგან. ხსენებულს ეკკლესიას სხვა ნიშებს გარდა, ჰქონდა ნიში სოფ. დიდებაანთ-კართანაც. ამ ეკკლესიას ჰქონდა აგრეთვე თვისი საკუთარი სახნავ-სათეს-სათიბი მიწები, ტყე და სოფ. არანისში ვენახი. ვენახი ჰქონდა აგრეთვე კახეთშიაც. მთელი საეკლესიო მამულის შემოსავალი სათემო იყო, ე. ი. საერთოდ ეკკლესიის მლოცველებისა (ყმებისა). მამულის მომვლელად, შემოსავლის მომკრებად სათემოდ ამორჩეული კაცები—ხევის ბერნი იყვნენ. მამულის შემოსავლით მლოცველნი სარგებლობდნენ—ეკკლესიის დღესასწაულის დროს.

ასე იყო უკანასკნელ დრომდე, ვიდრე ეს ეკკლესია გარდაეცემოდა სოფ. ბოდავის სამრევლოს მღვდელს. რაკი ეკკლესია თვის ნიშ-სამლოცველოებით მღვდლის ხელში გადავიდა, ეკკლესიის მლოცველთ აღარც რა ეკკლესიის კუთვნილ მამულებისა-და იციან. ეკკლესიასთან ერთად მის მამულებიც გარდაეცა მღვდელს, თუ სხვამ დაისაკუთრა, არა ვიცით-რაო.

ეს პატარა ამბავი, რასაკვირველია, ჩვენ, სხვათა შორის აღნიშნეთ, რადგან შეიძლება, ასე თუ ისე, დუშეთის მახლობლად ქართველთა სამლოცველოს სომხების მიერ მისაკუთრებასთან რაიმე კავშირი ჰქონდეს, მით უფრო, რომ ამ საქმის გამო ამ ჟამად გამოძიებაც არის თურმე დანიშნული.

ი. კ—ლი

## სასამართლოს მატიანე

გუშინ-წინ ტფილისის ოლქის სა სამართლომ გაარჩია საქმე ოლგა აფუტინისა, რომელსაც გაზ. „კავკაზის“ შემწეობით ცილი დასწამეს რომანოზ ოგიბალოვმა და ელენე სლივიცკაიამ თავისს შვილებს სასტიკად სცემს და სტანჯავსო. სლივიცკაიას ის ბრალი, რომ მან ტყუილი ცნობები შეატყობინა ოგიბალოვს აფუტინის შესახებ, რომელიც ვითომდა მეტად სასტიკად ექცევა თავის შვილებსაო, ხოლო ოგიბალოვს ისა, რომ გაზეთ „კავკაზში“ ამის შესახებ ამბავი დაბეჭდა, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ ოლგა აფუტინისა სცემს შვილებს, რითაც მოხვდება,—მუშტით, ჯოხით, ფეხით და საერთოდ მეტად უდიერად და სასტიკად ეპყრობაო.

ოლქის სასამართლომ ბრალდებულნი დამნაშავედ იცნო და გადუწყვიტა შვიდის დღით დაპატიმრება: ოგიბალოვს პოლიციაში, ხოლო ქ-ნს სლივიცკაიას — თავისს სადგომში.

## „ივერიის“ ფოსტა

**დ. ჩ—რი ვაჭარს მ—თ.** ჩოხატაურელ ვაჭრების შესახებ თქმული ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია და ამიტომ თქვენს წერილს არა ვბეჭდავთ, მით უფრო, რომ ამ წერილში მუქარის მეტი არა არის-რა.

**ქ. ფ—ი ი. იანეთელს.** თქვენი წერილის აზრს მკითხველი ვერ მიხვდება, თუ იგი კარგად გარკვეული და განმარტებული არ იქმნა.

**სოფ. ს—აო. ა. მ—შვილს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**დ. ს—დი. ზ. ფ—რიას** თქვენი ლექსი „ქვეყნის მნათობნი“ არ დაიბეჭდება.

**ქ—სი. სამართლის მაძიებარს.** თქვენი წერილი ქუთაისის გაჭირების შესახებ არ დაიბეჭდება. ეგ ამბავი არ-ახალია—ძველია და ბევრჯელაც იყო აღნიშნული ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში.

**სტ. ს—ძეს.** არა ღირს მაგდენ წერად ის საგანი, ახალ-სენაკი სჯობიან თუ ძველი სენაკი.

**მიხ. უ—ტს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**დ. ჩოხატაური. ვაჭართაგანს.** უსახელო წერილებს რედაქცია არც კი კითხულობს და თქვენს წერილსაც სწორედ ასე მოვექეცით.

**ქ. ვარ—ვა. ალიბეგოვს.** თქვენი წერილი თქვენვე გაუგზავნეთ „ნორ-დარ“-ს.

**ქ. სოხუმი. ე. კვ—ძეს.** „ქართლის ცხოვრება“ გასასყიდად არსად იშოვება.

**ქ. თ—ვი. ვ. თ—შვილს.** თქვენი ლექსი „კრწანისის ველი“ არ დაიბეჭდება.

**ქ. ფ—ი. გ. ს—შვილს.** თქვენი საპასუხო წერილი „ცნობის ფურცელს“ გაუგზავნეთ, რადგან ის შენიშვნა, რომელსაც პასუხს უგებთ, იქ დაიბეჭდა.

**ქ. სევასტ—ლი. დ. შ—ძეს.** თქვენი შენიშვნა ვერ დაიბეჭდება, რადგანაც მოხსენებული არა გაქვთ, როდის და ვინ „დიდმეცლიანი“ აირჩიეს.

**ს. ჭ—რა. ი—ნა გ—ჩაიშვილს.** თქვენი აქ ორი ეტიუდი გვაქვს „უმჯობესია დამივიწყო“ და „მშვიდობით, მშვიდობით“. პირველი დაიბეჭდება, ხოლო მეორე-კი არა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

11 ივლისი.

**პარიჟი.** როგორც ოფიციალურ წყაროებიდგანა სჩანს, მენელიკს საფრანგეთის ერთის ამხანაგობისათვის კონცესსია მიუცია 99 წლით აბაშეთში ყველა რკინის გზის გაყვანისა.

**სტოკჰოლმი.** ექიმ ეკჰოლმი, რომელიც შარშან ანდრესთან მოგზაურობდა, განუცხადებია, რომ, ჩემის აზრით, ის მტრედი, რომელიც სტავანგერში დაუჭერიათ, ანდრეს გამოგზავნილი არ არისო. ანდრე ვერც ხლის ბეჭდებს არ უკეთებს მტრედებსაო. ამას გარდა, მტრედის ფრთის წარწერაზედ ანდრეს სახელი არ არის მოხსენებული. დასასრულ, ის გარემოება, რომ ნიშნები ნათლად არ არის აღნიშნული, საქმეს საეჭვოდა ჰყოფს.

**რომი.** როგორც ნერაცინის მისსია იუწყება, მენელიკი წინადადებას აძლევს, ნაცვლად 1891 წლის საზღვრის, ახალი უკეთესი საზღვარი იქმნეს გაყვანილი, მანამდის-კი დაცულ იქმნას საქმეთა აწინდელი ვითარება. გადაწყვეტილია დასდონ მეგობრული და სავაჭრო ხელ-შეკრულება. ამასთანავე იტალიას უფლება ეძლევა იყოლიოს სადიპლომატიო წარმომადგენელი მენელიკთან.

**კონსტანტინეპოლი.** ჯევად-ფაშა „კიამილი“ გემით კრიტში წავიდა უწარჩინებულესს სამოქალაქო მოხელეებისა და საგენერალო შტაბის ოფიცრებთან ერთად.

**სტოკჰოლმი,** გაზ. „Aftonbladet“-ი, რომელთანაც ანდრეს პირობა აქვს, მოგზაურობის პირველ ცნობას შენ გაუწყებო, სწერს, რომ სტავანგერში დაჭერილი მტრედი ანდრეს გაშვებული არ არისო, იმიტომ რომ ანდრეს მტრედები შემდეგს სიტყვებითაა აღნიშნული: „ანდრეს ექსპეტიცია ა. ბ. 1897 წელი“.

**ფილიპპოპოლი.** ბოიჩევის საქმეში ბრალდებულმა ჟანდარმმა ვასილიევმა დანაშაული აღიარა. აგრეთვე გამოტყდა პოლიციის პრეფექტი ნოველიჩი და სთქვა, რომ კაპიტნად ნამყოფმა ბოიჩევმა დაარჩო ანნა სიმონიო. ბოიჩევი ყველაფერს უარსა ჰყოფს.

**კონსტანტინეპოლი.** პორტამ წარადგინა ელჩების მიერ მოთხოვნილი განცხადება იმის შესახებ, რომ დიდ სახელმწიფოთა სამხედრო წარმომადგენლების მიერ წინადადებულს საზღვარს თესალიისას მივიღებო.

12 ივლისი

**პარიზი.** გამოცხადებულ იქმნა ხელშეკრულობა საფრანგეთისა და აბაშეთს შორის.

ჰანოტასა და გოლუხოვსკის შორის ერთ-ურთის ნახვა და მოლაპარაკება ორშაბათს მოხდება

**კონსტანტინეპოლი.** გუშინდელის კრების დროს ოსმალეთის მხრიდგან განცხადებულ იქმნა სრული თანხმობა შესახებ საზღვარისა და ამით ზავის საქმემ წინ წაიწია. იმედი აქვთ, რომ დანარჩენ საქმეშიაც მორიგება მოხდება, რადგანაც სულთანს ძლიერა ჰსურს ზავის ჩამოგდება.

**ქრისტიანია.** სტავანგერში რომ მტრედი დაიჭირეს, აქ მოიყვანეს და აღმოჩნდა, რომ იგი გამოგზავნილი ყოფილა 13 ივლისს ჰელზინგფორსიდან; მტრედს ფრთაზედ აწერია „Noroqoli“.

პეტერბურგის ბირჟა, 11 ივლისი

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | „ — | — „ | — „ |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 207 | — „ | — „ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | — „ | 100⅞ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 99½ | — „ | — „ |
| % პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 288½ | — | — „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 246 | — | — „ |

## წერილი რედაქციის მიმართ

ამა წლის „ივერიის“ მე-125 №-ში იყო დაბეჭდილი კორრესპონდენცია უსახელოს ავტორისა, რომელშიაც იგი ამბობს, რომ ვითომც დაბა ჩოხატაურში ვაჭრები დავთრებში მუშტრებს 30 მანეთს მაგიერ 130 მანეთს და მეტსაც უმატებენო. ამ წერილმა დიდად გაგვაოცა ყველა ამ დაბის ვაჭრები. ჩვენ არასოდეს არ მოვქცეულვართ ისე და თუ ვინმე არის ასეთი უსაქციელო საქმის ჩამდენი, ბ-ნ კორრესპონდენტმა რატომ არ დაასახელა იგი? ვგონებ, ისიც დამემოწმება, რომ მე იმ დროიდგან ვვაჭრობ ამ დაბაში, როდესაც ჯერ ჩემს მეტი არავინ იყო. აგერ 30 წელი მეტია მას შემდეგ და თუ ასე ბევრი ამეღო, ეხლა თითქმის დიდის ქალაქების შეძლებულს ვაჭრებს გავუტოლდებოდი, მაგრამ არა თუ მეტი, ისიც ვერ ამიღია, რაც მერგება. და ამიერიდგან ვთხოვ ბ-ნ კორრესპონდენტს დაასახელოს, ვინც არის დამნაშავე, და ვინც მართალნი ვართ, გაგვანთავისუფლოს ამ უბრალო ცილის-წამებისაგან.

რაც შეეხება სამკითხველოს დაკეტას, უნდა მოგახსენოთ, რომ ამ სამკითხველოს საქმის მოთავენი და გამგენი ბ-ნნი ლორთქიფანიძე, ექიმი ერისთავი და სხვანი სამსახურისა გამო სხვაგან გადავიდნენ და აქ აღარა სცხოვრობენ. სამკითხველოში ქალი იყო და ისიც გათხოვდა. ამიტომ სამკითხველოს საქმე დროებით შეჩერებულია და ეხლა ყოველ დღე ვცდილობთ მოვახდინოთ ხელ-ახალი კრება, ვიშოვნოთ საიმედო კაცი სამკითხველოში დასაყენებლად და შეძლებისა დაგვარად წინანდელზედ უკეთ მოვაწყოთ.

მეორე გილდის ვაჭარი და დეპუტატი ამა დაბისა გერასიმე მეგრელიშვილი


# განცხადებანი

ივერიის რედაქციისაგან

ვაუწყებთ იმ ხელის-მომწერლებს, რომელთაც მხოლოდ ნახევარის წლის ფული აქვს შემოტანილი, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ არ წარმოადგინეს დანარჩენი ფულიც.

ამასთან კაცნობებთ ხელის-მომწერლებს, რომ თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა, უნდა წარმოადგინოს ერთი მანეთი, ხოლო სხვა ყოველის ადრესის შეცვლისათვის-კი—ორი აბაზი.

გაზეთ „ივერიის“ მე №-139 დაბეჭდილ ბანკის განცხადებაში მამულების შესახებ, რომელნიც 14 ამა ივლისისათვის არიან დანიშნულნი გასასყიდად, შეცდომით არის დაბეჭდილი:

სტეფანოვი, მაკარ არტემისძე: მიწა ზომით 499½ ოთხ. კუთხ. საჟენი და შესატანი გარდასახადი 404 მ. 22 კაპ. ხოლო უნდა იყოს: მიწა ზომით 198 ოთხ. კუთხ. საჟენი და გარდასახადი—104 მანათი 22 კ.

სულხანიკაშვილი, იოსებ მამაჰანისძე: თავნი ვალი 677 მანათი 44 კაპ. ხოლო უნდა იყოს—6776 მან. 44 კ.

(1—6. —1)

# იყიდება

კვირაცხოვლისა და „ობშჩესტვენი“ ქუჩაზედ, პოლიციის მე-5 ნაწილში ცალიერი ადგილი 70 ოთხ-კუთხი საჟ. საშენობო მასალით.

მსურველმა მიჰმართოს: დიდ „ვოდოვოზნი“ ქუჩაზედ, აივაზოვის სახლის ეზოში ე. თ.

(7—183—3)

# საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთექვსმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1897—8 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორიც და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და ლამაზი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9 სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, ავთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე ცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს ს. ზ. მახვილაძეს, ტფილისს. (24—127—5)


Дозволено цензурою. Тифлисъ 1-го Іюля 1897 г.

სტამბა [illegible]

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.